სააბონენტო ხელშეკრულება N _____ - მრავალარხიან სატელევიზიო მომსახურების შესახებ

ქ. ქუთაისი . _____ 2024წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. „ტვ კომი“, ს/კ 212847614, შემდგომში მოხსენებული როგორც „ოპერატორი“, დირექტორი ამირანი ბიწაძეს. ს/კ. 60002014462 და მეორეს მხრივ _____ შემდგომში „აბონენტი“, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „ოპერატორი“ ახორციელებს „აბონენტისათვის“ საკაბელო ქსელში ჩართულ სატელევიზიო არხების მიწოდებას, რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით.

1.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ბონენტის მიერ მომსახურების მიწოდების ადგილის მისამართის თვითნებურად შეცვლა დაუშვებელია.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ „ოპერატორი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან/და მისი შემადგენლობა, რის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს „აბონენტს“ ცვლილებამდე 10 (ათი) დღით ადრე.

2. საკაბელო ქსელში ჩართვის თანმიმდევრობა.

2.1. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ იმავდროულად გამოთქვამს თანხმობას მასზედ, რომ „ოპერატორმა“ მომსახურების მიწოდების მიზნით ყველა აუცილებელი და საჭირო მოწყობილობა 10 (ათი) დღის განმავლობაში დაამონტაჟოს (განათავსოს) „აბონენტის“ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე ან/და შენობის ყველა იმ ნაწილზე (შენობის კედელი, სადარბაზო, სხვენი და სხვა), რომელიც აუცილებელია „აბონენტისათვის“ მომსახურების მისაწოდებლად. იმ შემთხვევაში თუ „აბონენტის“ უფლება სრულად არ ვრცელდება უძრავ ქონებაზე, მაშინ „აბონენტის“ მიერ გამოთქმული თანხმობა ვრცელდება უძრავ ქონებაში არსებულ მის წილზე.

2.2. აბონენტის საკაბელო ქსელში ჩართვა წარმოებს ოპერატორის მიერ აბონენტთან ხელშეკრულების გაფორმების ,ჩართვის შეთანხმების შემდეგ.

2.3. აბონენტის სატელევიზიო მიმღების მიერთებას სატელევიზიო ქსელთან აწარმოებს ოპერატორი აბონენტის მიერ შეძენილი კოაქსიალური კაბელის მიერთებით საკაბელო ქსელის გამომყვანთან. კაბელი აბონენტის სატელევიზიო მიმღებიდან საკაბელო ქსელის გამომყვანამდე წარმოადგენს აბონენტის საკუთრებას.

2.4. ოპერატორს უფლება აქვს უარი უთხრას აბონენტს საკაბელო ქსელთან მიერთებაზე,გაყვანილობის მონტაჟის სწორად შესრულების შემოწმებამდე და დეფექტების აღმოფხვრამდე.

3. სამუშაოთა ღირებულება და გამოთვლის წესი.

3.1. საკაბელო ქსელში ჩართული აბონენტის ყოველთვიური გადასახადი შეადგენს დანართი №1–ით განსაზღვრული თანხას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.სააბონენტო კაბელს აბონენტი იძენს ოპერატორისგან დამოუკიდებლად ოპერატორის რეკომენდაციით.

3.2. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ აბონენტი გადასახადს იხდის ოპერატორის ანგარიშწორების ცენტრში ან აწარმოებს თანხის გადარიცხვას ოპერატორის საბანკო ანგარიშზე.

3.3. სააბონენტოს დარიცხვა წარმოებს აბონენტის ქსელში ჩართვის თარიღიდან.

3.4. სააბონენტოს გადახდა წარმოებს წინაწარი გადახდის საფუძველზე, მიმდინარე თვის 10(ათი) რიცხვამდე. რამდენიმე თვის გადასახადი შეიძლება გადახდილი იქნას წინასწარი გადახდის აფუძველზე.

3.5. სააბონენტო გადასახადის ცვლილების შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია 30 დღით ადრე შეატყობინოს აბონენტს აღნიშნულის შესახებ. სააბონენტო გადასახადის ცვლილება არ შეეხება იმ პერიოდს,რომლისთვისაც აბონენტის მიერ წინაწარ იქნა გადახდილია თანხა.

4. მხარეთა უფლება მოვალეობები

4.1. ოპერატორი ვალდებულია:

4.1.1. მიაერთოს აბონენტი საკაბელო ქსელის აღნიშნულ კონტრაქტში მითითებული პირობებით და უზრუნველყოს აბონენტი საკაბელო ქსელში ტრასლირებული სატელევიზიო გადაცემების ხარისხიანი მიღებით.

4.1.2. აბონენტის განაცხადის რეგისტრაციიდან 3 დღის(გამოსასვლელი დღეების გაუთვალისწინებლად) განმავლობაში აღმოფხვრას საკაბელო ქსელის გაუმართაობა და დეფექტები.

4.1.3. მოახდინოს სააბონენტო გადასახადის გადათვლა გაუმართაობის აღმოფხვრის ვადის გადაცილების შემთხვევაში,თუ ეს უკანასკნელი გამოწვეულია ოპერატორის მიზეზით.

4.2. აბონენტი ვალდებულია:

4.2.1. დროულად გადაიხადოს სააბონენტო გადასახადი.

4.2.2. არ მოახდინოს სხვა აბონენტების მიერთება ქსელის უბანზე სატელევიზიო სიგნალის გადატანის გზით.აბონენტის მიერ აღნიშნული პუნქტის შეუსრულებლობა წარმოადგენს ოპერატორის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების გაწყვეტის საბაბს.

4.2.3. ყურადრება მიაქციოს სააბონენტო კაბელს.მისი დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში ოპერატორი აწარმოებს კაბელის შეკეთებას ან გამოცვლას აბონენტის ხარჯებით აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2.4. აუნაზღაუროს ოპერატორს საკაბელო ქსელის არასწორი ექსპლოატაციის ან სხვა არასწორი მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალი.

4.2.5. ამ ხელშეკრულების 4.2.1, 4.2.2, პუნქტების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია,ხელახალი ჩართვისთვის გადაიხადოს, სატელევიზიო სიგნალის გადაცემის საფასური, რაც შეადგენს 20(ოცი) ლარს, ხოლო 4.2.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში გათიშული აბონენტი ვალდებულია მომსახურეობის დასაწყიში, წინასწარ გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური, გასული პერიოდის არსებული დავალიანება კი დაფაროს სრულად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მისი დადების მომენტიდან და მოქმედებს წ.–მდე,აღნიშნულ ხელშეკრულებაში მოყვანილი პირობებით,საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. ყველა დამატებითი შეთანხმებები და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5.3. აღნიშნული ხელშეკრულება შედგება ორი ეგზემპლიარისგან.მათ გააჩნიათ თანაბარი იურდიული ძალა და ინახება ორივე მხარის მიერ.
5.4. აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს:

ოპერატორის ინიციატივით:

- აბონენტის მიერ პირობების დარღვევის შემთხვევაში,აგრეთვე აბონენტის მოქმედების შედეგად,რომელმაც გამოიწვია ოპერატორის საკაბელო ქსელის მწყობრიდან გამოსვლა.
- თუ ობიექტური ტექნიკური,ეკონომიური ან საკანონმდებლო მიზეზები არ აძლევს საშუალებას ოპერატორს,რომ აბონენტს შემდგომში მიაწოდოს მომსახურეობა,ამასთან ოპერატორი ათდღიან ვადაში უბრუნებს აბონენტს ავანსად გადახდილ სააბონენტო თანხას.
- სხვა პირობებით,რომელიც გამოწვეული იქნება საქართველოს კანონმდებლობით და აღნიშნული ხელშეკრულებით.

აბონენტის ინიციატივით:

- წერილობითი განცხადების საფუძველზე მოწოდებული, ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) დღით ადრე, იმ პირობით რომ აბონენტს არ გააჩნია დავალიანება ოპერატორთან.
- სხვა პირობებით, რომელიც გამოწვეული იქნება საქართველოს კანონმდებლობით და აღნიშნული ხელშეკრულებით.

5.5. მხარეები შეთანხმდნენ,რომ აბონენტის მიერ სააბონენტო გადასახადის დაგვიანება (გარდა განცხადების საფუძველზე შეთანხმებული ვადებისა), 30 დღეზე მეტი დავალიანებაში მყოფ აბონენტებს, ოპერატორი იტოვებს უფლებას გაუფრთხილებლად გათიშოს საკაბელო ქსელიდან დავალიანების დაფარვამდე.

5.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

6. დამატებითი პირობები

6.1. ოპერატორი და აბონენტი აღნიშნული ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხს აგებენ საქათველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. ოპერატორი იტოვებს უფლებას შეცვალოს მომსახურეობის ტარიფები ლარის კურსის მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისად მოახდინოს მისი გადანგარიშება 3.4. პუნქტში მითითებული პირობების დაცვით.
6.3. ოპერატორს უფლება აქვს საკაბელო ქსელს გაუკეთოს მოდერნიზება დამატებითი ტექნიკური მოწყობილობების (დეკოდერის) დაყენებით, რომელიც უზრუნველყოფს კოდირებული გადაცემების მიღებას.
6.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების პირობები ვერ სრულდება ისეთი მოვლენების შედეგად, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ხანძარი, ქურდობა, სამხედრო მოქმედებები, ოპერარატორის მოწყობილობათა განზრახ დაზიანებით და ნებისმიერი, მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.
6.5. ოპერატორს უფლება აქვს არხების ჩამონათვალი შეცვალოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მითითების შესაბამისად.
6.6. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი ბათილია, ეს გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი ნორმის ნაცვლად გამოიყენება კანონმდებლობით არსებული ნორმა.

7. მხარეთა რეკვიზიტები

ოპერატორი:
შ.პ.ს..“ტვ კომი“
ქ.ქუთაისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №57
ფაქ.მის. ქუთაისი კ.გამსახურდიას ქ. 5ა

ს/კ. 212847614

ს.ს.“თიბისი ბანკი“
კოდი TBGBGE22
ა/ა GE49TB7366336170100001

ტ 0431263000

დირექტორი: _____

ა. ბიწაძე

_____ 2024წ.

აბონენტი:

_____

ქ.ქუთაისი

ხელშეკრულება №02 საკაბელო ტელევიზიის მომსახურეობის შესახებ

დანართი№01 ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების
წესის შესახებ

”შ.პ.ს.“ტვ კომი შემდგომში წოდებული ოპერატორად „წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირინა ბიწაძის სახით და (ორივე მხარე შემდგომში ნახსენებია როგორც „მხარეები“) 2024წელს დადებულ ხელშეკრულება № 02 –ის ფარგლებში ვაფორმებთ დანართ №1 შემდეგზე:

1.1.მომსახურეობის ყოველთვიური საზღაური შეადგენს ეროვნულ ვალუტაში დ.ღ.გ.–ს ჩათვლით.

ოპერატორი: აბონენტი: